

შპს "ენკა რინიუებლზ"

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

31.12.2020

31.12.2019

31.12.2018

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,227,451	2,672,696	1,552,000
სავაჭრო მოთხოვნები		37,280	270,000
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2,195,322		
მარაგები	5,422,773	2,709,976	1,822,000
- შხა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება		5,150,389	13,383,000
სხვა მიმდინარე აქტივები			1,338,000
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	121,987,818	32,614,352	8,814,000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	127,410,591	40,474,717	25,357,000

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	11,343,589	21,410,248	1,039,000
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	97,744,255		1,408,000
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	109,087,844	21,410,248	2,447,000
საკუთარი კაპიტალი			

შპს "ენკა რინიუებლზ"

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	49,149,000	43,015,500	40,149,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(30,826,253)	(23,951,031)	(17,239,000)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	18,322,747	19,064,469	22,910,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	127,410,591	40,474,717	25,357,000

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2020 წ.	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2019 წ.	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018 წ.
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება			

სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,654,046)	(2,949,215)	(3,892,957)
ცვეთა და ამორტიზაცია	(396,469)	(292,048)	(234,166)
საპროცენტო შემოსავალი:	321,107	77,428	51,000
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი	(173,660)	(193,514)	(422,044)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(520,979)	(364,871)	(8,400,224)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,424,047)	(3,722,220)	(12,898,391)

საოპერაციო მოგება	(3,424,047)	(3,722,220)	(12,898,391)
-------------------	-------------	-------------	--------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(36,043)	(123,311)	(92,609)
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(3,460,090)	(3,845,531)	(12,991,000)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	(3,460,090)	(3,845,531)	(12,991,000)

შპს "ენკა რინიუებლზ"

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(3,460,090)	(3,845,531)	(12,991,000)

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	19,064,469	22,910,000	35,901,000
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	2,718,368		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	18,322,747	19,064,469	22,910,000

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2020 წ.	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2019 წ.	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(5,102,430)	(4,161,033)	(12,730,000)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(98,114,510)	(2,451,883)	(5,934,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	103,629,028	7,679,701	13,321,000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	412,087	1,066,785	(5,343,000)
სავალუტო კურსის ეფექტი	142,668	53,911	(3,000)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,672,696	1,552,000	6,898,000
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,227,451	2,672,696	1,552,000

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო /

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ენკა რინიუებლზ“ (ყოფილი შპს "Clean Energy Group Georgia" - შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც დაარსდა 2016 წლის 1 თებერვალს. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 404507495.

2019 წლის 23 მაისს კომპანიის სახელი შეიცვალა და გახდა შპს "ენკა რინიუებლზ".

კომპანიის იურიდიული მისამართია ჭავჭავაძის გამზ. N60 ბ, ბინა N28, ვაკის რაიონი, თბილისი, საქართველო.

საქართველოს მთავრობასთან წარმატებული ტენდერის შემდეგ, კომპანიას მიენიჭა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის ("პროექტი") შემუშავების უფლება. პროექტი ეხება ორი ჰიდროელექტროსადგურის ("ჰესების") განვითარებას და მშენებლობას, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 433 მეგავატი და მდებარეობს რიონის ხეობაში, წყალტუბოს და ცაგერის მუნიციპალიტეტების მიდამოებში. მოსალოდნელია, რომ მშენებლობა 3,5 წელი გაგრძელდება, ხოლო წყალსაცავის შევსება და ელექტროენერგიის წარმოება 2025 წელს დაიწყება.

პროექტი შემუშავებულია მთავრობასთან 2019 წლის 25 აპრილს დადებული მშენებლობა-ფლობა-ექსპლუატაცია ხელშეკრულების ("BOO") და სიმძლავრის შესყიდვის ხელშეკრულების ("PPA") შესაბამისად.

2020 წლის 9 მარტს, კომპანიამ დადო "ადრეული სამუშაოების ჩატარების ხელშეკრულება" დაკავშირებული მხარის საწარმოსთან "Enmar Construction B.V."-ს ფილიალთან საქართველოში და დაიწყო დროებითი ობიექტების მშენებლობა და ტერიტორიის მომზადების სამუშაოების ჩატარება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, პროექტის განსახორციელებლად საჭირო მიწების შეძენის პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული (საჭირო მიწის ნაკვეთების დაახლოებით 4% ჯერ არ არის შეძენილი) და კომპანია აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ცალკეულ ოჯახებთან მიწებზე საკუთრების მოსაპოვებლად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 90% ეკუთვნოდა ნიდერლანდების "Enka Holding B.V."-ს (თურქეთის "Enka İnşaat Ve Sanayi A.Ş."-ს მიერ სრულად ფლობილი შვილობილი კომპანია) და 10% ნორვეგიის „Clean Energy Group AS (CEG)“-ს. 2020 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, "Enka İnşaat Ve Sanayi A.Ş."-მა "Enka Holding B.V."-სგან შეიძინა საკუთრების წილის 90%-ი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკუთრების წილის 90% ეკუთვნოდა "Enka İnşaat Ve Sanayi A.Ş."-ს, ხოლო დანარჩენი 10% ეკუთვნოდა "Clean Energy Group A.S."-ს.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

2020 წლის 28 თებერვალს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ („სამინისტრო“) გამოსცა გადაწყვეტილება ქვემო ნამახვანის ჰესის პროექტის მშენებლობის შესახებ. შემდგომ, 2020 წლის 22 აპრილს, კომპანიას მიენიჭა მშენებლობის ნებართვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

2020 წლის 9 მარტს, კომპანიამ დადო ხელშეკრულება ადრეული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესახებ "Enmar Construction B.V."-ს ფილიალთან საქართველოში (მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანია) და გადაიხადა ავანსები სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონტრაქტორმა დაასრულა ტერიტორიის მომზადებისა და დროებითი ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი (მაგ. ბანაკები, საწყობები, ხიდები და ა.შ.).

ამჟამად კომპანია წინა სამშენებლო ეტაპზეა.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი. ხელმძღვანელობამ დაადგინა აშშ დოლარი როგორც კომპანიის სამუშაო ვალუტა, რადგან მიიჩნევა, რომ აშშ დოლარი ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. აღნიშნული შეფასებისას ხელმძღვანელობამ განიხილა შემდეგი საკითხები:

- შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება დენომინირებული აშშ დოლარში; და
- ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ანგარიშგება გადაყვანილია ლარში 2020 წ. 31 დეკემბრის კურსით 3.2766

4. საოპერაციო ხარჯები

ლარი	2020	2019
საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	1,484,300	952,076
თანამშრომელთა ანაზრაულება	1,169,746	2,890,642
ცვეთის დარიცხვა	396,469	292,505
საიჯარო ხარჯები	173,660	192,136
საოფისე ინვენტარი და ტექნიკური მხარდაჭერა	167,107	106,105
პროფესიული მომსახურების საფასური	117,958	828,765
ქველმოქმედება და შემოწირულობები	42,596	28,677
სხვა ხარჯები	193,319	146,253
	3,747,174	5,439,178

5. ავანსები და სხვა აქტივები

ლარი	2020	2019
ავანსად გადახდილი გადასახადები	1,487,576	0
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	642,214	34,412
სხვა აქტივები	65,532	2,868
	2,195,322	37,280

6. ძირითადი საშუალებები და ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

	დაუსრულებელი მშენებლობა	მიწები	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და IT აღჭურვილობა	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა	სულ
თვითღირებულება	Cost							
ნაშთი 2019 წ-ის 1 იანვარს	Balance as at 1 January	7,603,832	0	0	785,774	521,177	0	9,057,780
შესყიდვები	Additions	19,989,004	3,986,103	0	0	103,237	0	24,089,815
ნაშთი 2019 წ-ის 31 დეკემბერს	Disposal/write-off	0	0	0	0	0	0	0
	Balance as at 31 Decem	27,592,836	3,986,103	0	785,774	624,414	0	33,147,595
ნაშთი 2020 წ-ის 1 იანვარს	Balance as at 1 January 2020							
შესყიდვები	Additions	32,243,256	3,986,103	0	785,774	624,414	0	37,798,015
შესყიდვები/მიღება	Disposal/write-off	2,588,514	2,326,386	884,682	0	79,221,635	114,681	85,135,898
გასავალი/ჩამოწერა	Transfer from prepaym	0	0	0	-29,489	0	0	-29,489
გრძელვადიანი აქტივები	Balance as at 31 Decem	40,377,542	0	0	0	-40,377,542	0	0
დაუსრულებელი მშენებლობაში		75,209,311	6,312,489	884,682	756,284	624,414	38,844,093	122,904,424
დაგროვილი ცვეთა	Accumulated Depreciation							
ნაშთი 2019 წ-ის 1 იანვარს	Balance as at 1 January 2019							
ცვეთის დარიცხვა წლის	Depreciation for the ye	0	0	0	146,999	90,872	0	237,870
განმავლობაში	Disposal/write-off	0	0	0	120,443	140,517	0	295,373
ნაშთი 2019 წ-ის 31 დეკემბერს	Balance as at 31 Decem	0	0	0	0	0	0	0
		0	0	0	267,442	231,389	0	533,243
ნაშთი 2020 წ-ის 1 იანვარს	Balance as at 1 January 2020							
ცვეთის დარიცხვა წლის	Depreciation for the ye	0	0	0	267,442	231,389	0	533,243
განმავლობაში	Disposal/write-off	0	0	170,383	186,766	39,319	0	396,469
გასავალი/ჩამოწერა	Balance as at 31 Decem	0	0	0	-13,106	0	0	-13,106
ნაშთი 2020 წ-ის 31 დეკემბერს		0	0	170,383	441,102	270,708	0	916,606
საბალანსო ღირებულებები:	Carrying amounts							
2019 წლის 1 იანვარს	As at 1 January 2019							
2019 წლის 31 დეკემბერს	As at 31 December 2019	7,603,832	0	0	638,775	430,305	0	8,819,910
2020 წლის 31 დეკემბერს	As at 31 December 2020	27,592,836	3,986,103	0	518,332	393,025	0	32,614,352
		75,209,311	6,312,489	714,299	315,183	353,705	38,844,093	121,987,818

დაუსრულებელი მშენებლობა

დანახარჯების კაპიტალიზაცია- კომპანიამ მიიღო ნამახვანი ჰესის კასკადის პროექტის შემუშავების უფლება და დაიწყო პროექტის მშენებლობაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების კაპიტალიზაცია, ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" მოთხოვნების შესაბამისად. ეს ხარჯები მოიცავს ადრეული სამშენებლო სამუშაოების ხარჯებს, როგორიცაა ბანაკების მშენებლობა; შემენილ აქტივებთან და ტექნიკური განვითარების კვლევებთან დაკავშირებული ხარჯები; ს აინჟინრო საკონსულტაციო მოსაკრებლები, როგორიცაა ჰესის ძირითადი დიზაინის მიმოხილვა და კლიმატისა და გეოლოგიური პირობების შემოწმება.

არაფულადი სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფოსგან გადაცემული მიწის ნაკვეთები - „მიწის“ ნაშთში შედის 137 მიწის ნაკვეთი, რომელიც 2019 წელს გადაეცა კომპანიას სახელმწიფოსგან ნომინალური ანაზღაურების სანაცვლოდ - 1 ლარი (0.31 აშშ დოლარი) ერთი მიწის ნაკვეთისთვის.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2020	2019
საბანკო ნაშთები	3,227,451	2,672,696
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	3,227,451	2,672,696

8. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

ლარი	2020	2019
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი	49,149,000	37,865,111
გამოშვებული და გადაუხდელი საწესდებო კაპიტალი	0	5,150,389
	49,149,000	43,015,500

საწესდებო კაპიტალის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ის უფლებამოსილია პარტნიორთა კრებებზე ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

(b) დაგროვილი ზარალი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა 9,408 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დაგროვილი ზარალი (30,826,252.80 ლარის), 2019 წ.: 8,352 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დაგროვილი ზარალი (23,951,030.40 ლარი).

2020 და 2019 წლებში დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული და გადახდილი.

9. სესხები

ლარი	31.12.2020	31.12.2019
მომდინარე ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	97,744,255	
	97,744,255	0

2020 წელს, კომპანიამ მიიღო არაუზრუნველყოფილი, უპროცენტო სესხი 29,831 ათასი აშშ დოლარის (97,744,255.00 ლარის) ოდენობით მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიისგან "Enka Holding B.V."- სგან - მშობელი კომპანია "Enka Insaat ve Sanayi A.S."-ის მიერ კონტროლირებული კომპანია.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31.12.2020	31.12.2019
დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	11,107,674	21,278,334
სხვა ვალდებულებები	235,915.2	131,914.2
	11,343,589	21,410,248

11. ვალდებულებები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მთავრობამ კომპანიას გადასცა 137 მიწის ნაკვეთი ნომინალური ანაზღაურების სანაცვლოდ - 1 მიწის ნაკვეთი 1 ლარი (0,31 აშშ დოლარი). საქართველოს მთავრობასთან 2019 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის გზის იმ მონაკვეთის სანაცვლოდ, რომელიც ნამახვანი ჰესის პროექტის ზეგავლენის ქვეშ ხვდება, მშენებლობის ეტაპზე გადასვლისას, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება ააშენოს ახალი მაგისტრალი და დასრულების შემდეგ გადასცეს მაგისტრალი სახელმწიფოს. საავტომობილო გზის საგარანტიო პერიოდი იქნება ორი წელი ექსპლუატაციაში მიღების დღიდან. პროექტის სავარაუდო ღირებულება ჯერ არ არის შეფასებული. BOO ხელშეკრულების თანახმად, არსებული გზის დატბორვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ახალი მაგისტრალის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

12. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ ამონაგებს ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მათი დარიცხვისთანავე მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია აშშ დოლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება აშშ დოლარში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. კონვერტაციის დროს წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(d) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი სხვა ხარჯებისგან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულების დემონტაჟის და გატანის ხარჯებს და ადგილმდებარეობის დასუფთავების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას, ასევე კაპიტალიზებულ სასესხო ხარჯებს.

აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხს წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე მსგავს აქტივებთან და სხვა ფაქტორებზე, როგორიც არის ხარჯების ბუნება და ინდუსტრიის სპეციფიკა.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(i) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.


(ii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის, არის შემდეგი:

- | | |
|----------------------------------|-------------|
| - ქარხანა და შენობები | 20-50 წელი; |
| - სატრანსპორტო საშუალებები | 5-7 წელი; |
| - კომპიუტერები და IT აღჭურვილობა | 5 წელი; |
| - მანქანა-დანადგარები და სხვა | 5 წელი; |

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.



სინან ჯემ აიძინ

გენერალური მენეჯერის მოადგილე